ეკა კაჭარავა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო,
მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების
სამსახურის უფროსი სპეციალისტი,
ისტორიის დოქტორი

ქართული ბრენდი „ბორჯომი“ – გამოფენის პროექტის პრეზენტაცია

კონფერენციის ფარგლებში პრეზენტირებული იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ერთობლივი პროექტი - ქართული ბრენდი „ბორჯომი,“ რომელიც მომზადდა ბორჯომის მინერალური წყლის ინდუსტრიული წარმოების 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

პრეზენტაციის შესავალ ნაწილში წარმოდგენილი იყო ძველი ქართული ბალნეოლოგიური და კლიმატური სადგურისა და კურორტის - ბორჯომის ისტორიული შენობები. განხილული იყო სამომავლოდ დაგეგმილი სამუ-



ზეუმო შენობების რეაბილიტაცია და გაძეგლებული, სადღეისოდ უფუნქციო შენობების სამუზეუმო სივრცეებად გარდაქმნა-ადაპტირების მიზანშეწონილობა და ერთიან ტურისტულ მარშრუტში ინტეგრირების პერსპექტივა.

კანცელარია

პირველ ყოვლისა საუბარი შეეხებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მუზეუმი განთავსებულია რომანოვების მამულის კანცელარიის შენობაში, რომელიც აგებულია 1890 წელს და 2015 წელს საიუბილეო თარიღი - 125 წელი უსრულდება. შენობის არქიტექტორია ვლ. შვეიერი. სადღეისოდ მუზეუმის შენობის მდგომარეობა არასახარბიელოა და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის განხორციელება დაგეგმილია მსოფლიო ბანკისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამონაწილეობით.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უაღრესად მდიდარია კოლექციების თვალსაზრისით. შენობის მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია აქ დაცული მრავალფეროვანი ფონდების სრულად და ეფექტურად ექსპონირება.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ე. წ. „კავალერიის ფლიგელი", რო-



მელიც მდებარეობს ბორჯომის რემერტის სახელობის ისტორიულ პარკში, 2015 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა.

კავალერიის კორპუსი

1880 წლისათვის აშენებული კორპუსი, რემერტის პარკთან ერთად, მ. რომანოვის საზაფხულო რეზიდენციის შემადგენლობაში შედიოდა. ლიკანის სასახლის აგებამდე „კავალერიის კორპუსის“ ულამაზესი, ორ ფლიგელიანი შენობა, ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის საცხოვრისს წარმოადგენდა. შენობის არქიტექტორის ვინაობა უცნობია. არქიტექტურული სტილით ე. წ. „სოფია იზმიროვას სახლის“ მსგავსია. „იზმიროვას სახლის“ არქიტექტორია ალბერტ ზალცმანი (1833-1897). სავარაუდოა, რომ „კავალერიის ფლიგელის“ პროექტიც მისი ავტორობითაა შექმნილი.

ლიკანის სასახლის აგების შემდგომ ამ შენობას «Новокавалерийская» ეწოდა. მასში საიმპერატორო კართან დაახლოებულ პირებსა და სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლებს ანთავსებდნენ. „კავალერიის ფლიგელის“ რეაბილიტაციისა და სამუზეუმო სივრცედ ადაპტირების შემთხვევაში ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა ამ შენობასა და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (რომანოვების კანცელარია) შე-





ნობაში განაწილდება და შედეგად ორივე მუზეუმში განახლებულ, სრულფასოვან საექსპოზიციო სივრცესა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს მივიღებთ.

ლიკანი

იმდენად რამდენადაც არა ვართ განებივრებული სასახლის ტიპის არქიტექტურული ნაგებობებით, ნიკოლოზ რომანოვის ლიკანის სასახლე გამორჩეული ძეგლია. მავრიტანულ სტილთან მიახლოებული საზაფხულო სასახლე აგებულია 1892-1895 წლებში. პროექტის ავტორია ლ. ბენუა, არქიტექტორი ლ. ჰ. ბილფელდი.

სასახლეში დაცულია უნიკალური XIX-XX სს-ის მიჯნის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. სასახლე და მისი ასევე უნიკალური ტყე-პარკი, მასში განთავსებული XIX საუკუნის ქანდაკებებით დამთვალიერებლისათვის მიუწვდომელია. ლიკანის სასახლე და პარკი მუზეუმად ადაპტირების შემთხვევაში საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან მუზეუმად იქცევა. ამავე დროს, სასახლის პარკის ტერიტორიაზე არაერთი უფუნქციოდ მიტოვებული კაპიტალური ნაგებობაა (როგორც ძველი, ისე საბჭოური), რომლის ფუნქციურად დატვირთვა, გაცოცხლება და ამოქმედება ჩვენი პროფილის სამსახურისათვის სირთულეს არ წარმოადგენს. მაგალითად დავიმოწმებთ





ლიკანის სასახლესთან ხის გალერეით დაკავშირებულ სასახლის თანადროულ ნაგებობას სადაც უკვე არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკონფრენციო დარბაზი, სასადილო და რამდენიმე ოთახიანი სასტუმრო. (ამ სივრცის გამოყენება შესაძლოა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, საქმიანი მოლაპარაკებების, თათბირების ჩასატარებლად, სტუმრების მისაღებად.) დღეის მდგომარეობით, ლიკანის

სასახლე და პარკი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის ინიციატივა, სასახლისა და პარკის სამუზეუმო სივრცედ გარდაქმნის მიზნით, სააგენტოსათვის გადმოცემის თაობაზე, უშედეგოდ დასრულდა.

მინერალური წყლის ქარხანა

საინტერესო და დათვალიერებად მუზეუმს მივიღებთ ბორჯომის მინერალური წყლის პარკში მდებარე 1896 წლისათვის განსრულებული მინერალური წყლის ქარხნის რეაბილიტაცია-ადაპტაციის შემთხვევაში. ამ შენობას დიდი რესურსი გააჩნია. I სართულის ძირითად სივრცეში შესაძლებელია შენობის თანადროული, ბორჯომის მინერალური წყლის თეთრი მარმარილოს ბიუვეტის განახლება-ამოქმედება, აქ შესაძლოა მინერალური წყლის წარმოების ატრაქციის მოწყობა, დამთვალიერებლის პროცესში ჩართვა. დანარჩენ სივრცეებში ბორჯომის მინერალური წყლის ისტორიის სრულად, ცოცხლად და საინტერესოდ გადმოცემა, უამრავი მარკეტინგული ხერხის გამოყენება, რაც თავის მხრივ სასიკეთოდ აისახება როგორც მინერალური წყლის რეალიზაციაზე, ისე ხეობის პოპულარიზაციაზე.

სადღეისოდ მინერალური წყლის ქარხნის შენობა მყარია, თუმცა მისი შიდა სივრცე მძიმე მდგომარეობაშია და დროულ ჩარევას საჭიროებს.

ფრიდრიხ მოლდენჰაუერის ჰიდროელექტროსადგური

განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობაა მინერალური წყლის პარკშივე არსებული ჰიდროელექტროსადგური. ის XIX საუკუნის ინდუსტრიის ისტორიის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. 1898-1899 წლებში ბორჯომის მინერალური წყლების პარკში, მდ. ბორჯომულაზე აშენებული ჰიდროელექტროსადგური რუსეთის იმპერიაში სიმძლავრით პირველი, ხოლო ამიერკავკასიაში რიგით პირველი იყო; ასევე მთელ იმპერიაში, პირველად აქ იყო გამოყენებული ამერიკული გამოგონება – პელტონის ძრავა. ჰიდროელექტროსადგურის შენობის არქიტექტორი იყო ვ. ს. შენგარდტი. პროექტის

გეგმარებასა და განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა პროექტის ავტორი, პარიზის აკადემიისა და ბორჯომის მინერალური წყლების დირექციის წევრი, მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ქიმიური ლაბორატორიის გამგე, ფრიდრიხ ფრიდრიხის ძე მოლდენჰაუერი. სადღეისოდ, შენობა მეტწილად განადგურებულია. მისი რეაბილიტაციისა და თანამედროვე საექსპოზიციო სივრცის მოწყობის შემთხვევაში მივიღებთ მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმს.

საიტი – ატრაქცია ღია ცის ქვეშ

ასევე, არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ქ-ნ ვიოლეტა ბალახაშვილის ინიციატივას, ბორჯომში შემაღლებულ კონსტრუქციაზე დამონტაჟებული მატარებლის რესტავრაციისა და შემოსაზღვრის თაობაზე. ჩვენ, სავსებით ვიზიარებთ ქ-ნი ვიოლეტას მოსაზრებას ბორჯომში შემაღლებულ კონსტრუქციაზე დამონტაჟებულ „პორტერის“ ორთქლმავალთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, მაღალმთიანი რეგიონისთვის გათვალისწინებული, საგანგებოდ ჩამოტანილი პირველი ორთქლმავალი, ცემი-ბაკურიანის ეიფელის სარკინიგზო ხიდთან ერთად გაცოცხლების შემთხვევაში, შესაძლოა უაღრესად

საინტერესო ატრაქციად იქცეს ყველა ასაკის, ადგილობრივი თუ უცხოელი დამთვალიერებლისათვის.

ამ თვალსაზრისით, უმჯობესი იქნება, შემაღლებულ კონსტრუქციაზე დამონტაჟებული „პორტერის“ ორთქლმავალი რესტავრაციის შემდგომ გადატანილ იქნას ბორჯომის ცენტრალურ ნაწილში (მაგ. ბორჯომის მინერალური წყლის პარკში, კლდოვანი ადგილის სიახლოვეს), განთავსდეს ბეტონის მოედანზე, სადაც რკინიგზის ლიანდაგები იქნება დამონტაჟებული.

ორთქლმავალი უნდა გახდეს დამთვალიერებლისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის ფიზიკურად მისაწვდომი. მოზარდთათვის შესაძლოა სხვადასხვა ატრაქციის იმპროვიზირება, რაც გაათკეცებს ბავშვურ ცნობისმოყვარეობასა და ინტერსს. ასევე შესაძლებელია, ცემი-ბაკურიანის ეიფელის სარკინიგზო ხიდის მაკეტის შექმნისა და ფოტო-მასალის გამოყენებით ფოთი-თბილისი-ბაკურიანი სარკინიგზო ხაზის ამსახველი მინი-ექსპოზიციის მოწყობა. ეს იქნება საინტერესო, დათვალიერებადი ახალი საიტი ღია ცის ქვეშ, რომელიც ორგანულად ჩაეწერება ტურისტულ მარშრუტში და მინერალური წყლის ქარხანასა და მოლდენგაუერის ჰიდროელექტროსადგურთან ერთად შეემატება ინდუსტრიული ბორჯომის რეკონსტრუირებულ ერთიან სურათს.

ამ პროექტების განხორციელებისა და ტურისტულ მარშრუტში ინტეგრირების, სწორი რეკლამირების შემთხვევაში, ბორჯომის ხეობაში ჩვენ მივიღებთ ხუთ უმნიშვნელოვანეს, საინტერესო, მაღალშემოსავლიან მუზეუმს. ესენია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ყოფილი რომანოვების კანცელარია), კავალერიის კორპუსი, მინერალური წყლის ქარხანა, ფრიდრიხ მოლდენჰაუერის ჰიდროელექტროსადგური, ლიკანის სასახლე და პარკი.

სასურველია განხორციელდეს ისტორიული პარკების (მინერალური წყლის პარკი და რემერტის სახელობის პარკი) რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. რეაბილიტაციისა და ისტორიულად არგუმენტირებული რეკონსტრუქციის შემთხვევაში, თითოეული ეს პარკი მასში განთავსებული განახლებული,

სამუზეუმო სივრცეებად ადაპტირებული ისტორიული შენობებით მიმზიდველ, რენტაბელურ ტურისტულ ცენტრებად იქცევა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში მიმდინარეობდა გამოყენებული საკვლევი საარქივო მასალის დასკანერების პროცესი. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია უაღრესად მრავალფეროვანი საარქივო მასალა (ავალიშვილების, რომანოვების საქმისწარმოების ამსახველი თუ სხვა დოკუმენტები, ალბომები, ხელნაწერები). ამ მასალის მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა და საჭიროებს დროულ მკურნალობასა და კონსერვაციას.

საქართველოს ეროვნულ არქივთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ვგეგმავთ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საარქივო მასალის მკურნალობას, შემდგომ ხელახალ კლასიფიკაციას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დაცვის პირობების უზრუნველყოფას.

ბორჯომის შესახებ არსებული ასევე მნიშვნელოვანი საარქივო მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. ჩვენს მიერ დღემდე მიმდინარეობს მასალის შერჩევა და ეროვნულ არქივთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში შერჩეული დოკუმენტაციის სკანერების პროცესი. საბოლოოდ, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი საარქივო მასალა გადაეცემა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ბორჯომთან დაკავშირებული XIX-XX საუკუნეების მიჯნის საარქივო მასალა დაცულია პეტერბურგის სახელმწიფო საისტორიო არქივში. ჩვენ შევეცადეთ კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ დახმარებით ამ მასალის მოპოვებას. თუმცა ჩვენი მცდელობა ამ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა.

კონფერენციაზე „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ წარმოდგენილი იყო დროებითი გამოფენის - ქართული ბრენდი „ბორჯომი“ კონცეფცია და რენდერები, ასევე საექსპოზიციო სივრცისთვის გათვალისწინებული სივრცითი ფოტოები. გამოფენა მომზადდა სამეცნიერო კვლევის საფუძველზე. კვლევის პროცესში დამუშავდა საისტორიო წყაროები (პეტერბურგის სა-

ხელმწიფო საისტორიო არქივის აღწერები, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ეროვნული მუზეუმის დ. ერმაკოვის ფოტოფონდები, საქართველოს ეროვნულ არქივის კინო-ფონო-ფოტო ფონდი, სერგეი პროკუდინ-გორსკის, პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინის, უცნობ ავტორთა ფოტოები) და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა.

გამოფენის განხორციელება იგეგმება მელიქიშვილის გამზირზე მდებარე ღვინის ქარხანა №1-ში. (ინდუსტრიული სივრცის ძიება თბილისში უშედეგოდ დასრულდა, რის შემდეგაც შეირჩა ღვინის ქარხნის სივრცე);

გამოფენის დიზაინი ჩვენთან თანამშრომლობით მომზადდა არქიტექტურულ-დიზაინერული კომპანიის Casa Group-ის მიერ.

საექსპოზიციო სივრცეში სტაციონარულ სტენდებზე წარმოდგენილი იქნება და დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა გაეცნოს შემდეგ თემატიკას:

- ქართული ბრენდი „ბორჯომი“;
- ბორჯომის მინერალური წყაროების პირველი ექსპლოატაცია - თავადი ავალიშვილები;
- ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ახალი ქარხანა;
- ბორჯომის მინის ქარხანა;
- წარმოების პროცესი: ჩამოსხმა, შეფუთვის ტექნოლოგია, ბორჯომის მინერალური წყლის რეკლამა, ექსპორტი;
- ბორჯომის მინერალური წყლის გამოფენებში მონაწილეობა;
- კურორტი ბორჯომი.

გაწეული მუშაობის შედეგად, ექსპოზიციის გახსნის დროისათვის მზად იქ-ნება კვლევის საფუძველზე მომზადებული რამდენიმე პროდუქტი:

1. **პროექტი „ძველი ქალაქები მუზეუმებისა და არქივების კოლექციებიდან ბორჯომი“. ავტორი ეკა კაჭარავა.**

2. **ძველი ბორჯომის ამსახველი სივრცითი ფოტოების ექსპოზიცია. რეჟისორი -შალვა შენგელი, გრაფიკა - პაატა კახაძე. სივრცითი ფოტოების ექსპოზიციის დახურული ჩვენება კონფერენციის ფარგლებში, წინანდალში შედგა.**

3. **ბორჯომის ისტორიისა და მინერალური წყლის წარმოების ამსახველი დოკუმენტური ფილმი. ფილმის სცენარის ავტორი, მწერალი, დოკუმენტური ფილმრბის სტუდიის ხელმძღვანელი - კოტე ჯანდიერი.**

4. **ძველი ბორჯომის ამსახველი პოსტერები და საფოსტო ბარათები.**

საექსპოზიციოდ მომზადებული ვიზუალური მასალა გამოფენის დასრულების შემდგომ განთავსდება ბორჯომში კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ბორჯომის მინერალური წყლის ახალი ქარხნის შენობაში.

Summary

EKA KACHARAVA

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Senior specialist at the Museums and Museum-reserves Unit,
PhD in History

A joint project of NACHP and IDS Borjomi designed in connection with 125 anniversary of Borjomi Mineral Water industry was presented within the Conference.

In the Introductory part of the presentation, historical buildings of old spa and climatic station and resort Borjomi have been provided. The planned rehabilitation of museum facilities has been discussed, as well as the feasibility of turning the current functionless buildings that acquired monument status into museum spaces and prospects for integration into tourist routs.

The issues discussed involved the restoration of Porter steam engine, transfer to central part of Borjomi and installation, Eiffel railway bridge model of Tsemi-Bakuriani and organizing mini exposition of Poti-Tbilisi-Bakuriani railway line using photo material.

The project implementation will result in a new, interesting open-air site, which will originally fit into tourist rout and overall picture of reconstructed industrial Borjomi together with mineral water factory and Moldenhauer hydropower plant.

Proper advertising of the project implementation and its integration into tourist rout will ensure obtaining of five significant, interesting and high income museums in Borjomi gorge: Borjomi Local Museum (former Romanovs Palace), Cavalry Corp, Mineral Water Factory, Fredric Moldenhauer hydropower plant, Likani Palace and park.

Reconstruction and rehabilitation of historical parks (mineral water park and Remert Park) would be desirable. In case of rehabilitation and historically substantiated reconstruction, each park with its renovated museum space and historical buildings will become attractive tourist center.

During the Conference „Museum and Cultural Heritage", a concept and renders of temporary exhibition Georgian Brand Borjomi was presented, as well as spatial photos considered for exhibition space.

The exhibition is prepared based on scientific study and designed by Casa Group – architectural and design company. The following topics will be presented for exhibition:

- Georgian Brand Borjomi;
- First Exploitation of Borjomi Mineral Springs – the Avalishvilis;
- New bottling factory for Borjomi Mineral water;
- Borjomi glass plant;
- Production process: bottling, packaging technology, advertising of Borjomi Mineral water, export;

- Participation in Borjomi Mineral water exhibitions;
- Borjomi Resort.

By the opening time of exhibition, some products designed based on the study will be completed:

1. The project „old towns from collections of museums and archives - Borjomi", by Eka Kacharava.
2. Exposition of Spatial Photos depicting old Borjomi. Directed by Shalva Shengelia, graphics by Paata Kakhadze. Exposition of Spatial Photos closed showing within the conference took place in Tsinandzli.
3. Documentary Film on Borjomi History and Mineral Water Production. Screenplay by Writer, director of the documentary film studio Kote Jandieri.
4. Posters and postcards depicting old Borjomi.